## რესურსები

- TOLES სამართლებრივი ინგლისური ენა
- სასამართლო უნარ-ჩვევები
- უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი
- HRRC ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი
- სამართლის საერთაშორისო შეჯიბრებები
- საზაფხულო და ზამთრის სკოლები
- სამეცნიერო ინსტიტუტი



## საქართველოს უნივერსიტეტი


77, მ.კოსტავას ქუჩა, თბილისი 0171, საქართველო

www.ug.edu.ge

2 55 22 22




# სამართლის სკოლა



## რატომ საქართველოს უნივერსიტეტი?

საქართველოს უნივერსიტეტი გამორჩეულია უმაღლესი ხარისხის, მომთხოვნი საგანმანათლებლო პროცესითა და ისეთი ტიპის თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რომელშიც ადამიანი ხარისხიან განათლებასთან ერთად პრაქტიკულ უნარებსაც ეუფლება. სწორედ ამიტომ, საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი, რომლის კურსდამთავრებული დასაქმების რეალური პერსპექტივით არის უზრუნველყოფილი. საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ლაღად და მყარად გრძნობენ თავს კონკურენტულ გარემოში.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წარმოადგენს მაღალკვალიფიციურ, კრეატიულ და ენთუზიაზმით აღსავსე პროფესიონალებისაგან შემდგარ გუნდს, რომელიც მზად არის აღზარდოს აუცილებელი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით აღჭურვილი ადამიანი.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში არსებულ მულტიკულტურულ გარემოში ყალიბდება ჰუმანური ღირებულებების მქონე მოაზროვნე, განათლებული პიროვნება, რომელიც თავისუფლად უმკლავდება დღევანდელ სამყაროში არსებულ გამოწვევებს.

საქართველოს უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტია, რომლის მიზანი თითოეული სტუდენტის პიროვნული განვითარება და მისი, როგორც მაღალი დონის პროფესიონალის ჩამოყალიბებაა. სწორედ ამიტომ, ჩვენი კურსდამთავრებული მოთხოვნადია თანამედროვე შრომით ბაზარზე, რასაც მათი დასაქმების უმაღლესი სტატისტიკური მაჩვენებელი ადასტურებს.



**გიორგი ბალათურია - საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კურსდამთავრებული**

„როდესაც 2014 წელს საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის პროგრამაზე ჩავაბარე, თავიდანვე ვიცოდი, რომ წინ საკმაოდ საინტერესო და რთული გზა იქნებოდა გასავლელი, თუმცა დაბრკოლებების გარეშე წარმატება არ არსებობს.

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლა არის ის ადგილი, სადაც შესაძლებელია სტუდენტი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბდეს, გავიდეს საერთაშორისო ასპარეზზე და წარმოაჩინოს ის ცოდნა, რომელიც უნივერსიტეტმა მისცა. ალბათ, სწორედ ეს იყო ჩემი მოტივაცია იმისთვის, რომ უნივერსიტეტი ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრებით დამემთავრებინა. უნივერსიტეტის უდიდესი ძალაა ღირსეული აკადემიური პერსონალი, რომელიც სტუდენტებისთვისაც მთავარი მოტივატორია. მათი დახმარებით ნებისმიერ მონდომებულ და მიზანდასახულ სტუდენტს შეუძლია დიდი წარმატების მიღწევა.

მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება ვყოფილიყავი საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი, ვინაიდან ამ ფაქტმა დიდი როლი ითამაშა ჩემს კარიერულ წინსვლაში.“

# პროგრამები

## საბაკალავრო

- სამართალმცოდნეობა

## სამაგისტრო

- სამართალი
- საერთაშორისო ბიზნეს სამართალი (ინგ)

## სადოქტორო

- სამართალმცოდნეობა









## FOR LAW AND LIBERTY

სამართლის სკოლა გთავაზობთ საუკეთესო ხარისხის ინოვაციურ პროგრამებს, რომელთა მიზანია მაღალკვალიფიციური, მოთხოვნადი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე იურისტების მომზადება. სკოლა გთავაზობთ როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან პროგრამებს, რაც მოგცემთ საშუალებას კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გახდეთ საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე.
პროგრამები გამორჩეულია იმით, რომ:

- მთლიანად მორგებულია თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს;
- სწავლების მეთოდები ინოვაციურია;
- ყველა სტუდენტს ეძლევა საშუალება მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონკურსებში;
- გამოცდების დიდი ნაწილი იმართება იმიტირებული პროცესების სახით;
- არჩევითი საგნების ჩამონათვალი მრავალფეროვანია;
- სამართლებრივ ინგლისურ ენას მხოლოდ ამერიკელი, ბრიტანელი და კანადელი პროფესორები ასწავლიან;
- სემესტრულადაა შეთავაზებული სხვადასხვა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა;
- იურისტად დასაქმების მაჩვენებელი ძალიან მაღალია, ამასთან, დასაქმება შესაძლებელია უნივერსიტეტის იურიდიული დახმარების ცენტრშიც.

